ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამეცნიერო სემინარი

თემა: დემოკრატიზაციისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხები XXI საუკუნის თურქეთში

პროფესორი ემზარ მაკარაძე

25 მაისი, 2021

- კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის გარეშე არ არსებობს მშვი-დობა და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მივყავართ იმ უმთავრეს შედეგამდე, რასაც ერებს შორის ცივილიზაციათა კავშირი ჰქვია. ამ მხრივ საინტერესოა დემოკრატიზაციისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხები XXI საუკუნის რესპუბლიკურ თურქეთში.

- XXI საუკუნის თურქეთი მომავალი დემოკრატიის, კულტურათაშორის დიალოგის გაღრმავებისა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის.

- რესპუბლიკურ თურქეთში, კულტურათაშორისი დიალოგის საკითხების წინ წამოწევას დემოკრატიული ღირებულებების წინ წამოწევა სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა ევროპელი მოკავშირეებისა და აშშ-ის მხარდაჭერა.

- ბოლო ცხრამეცი წელია, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ინტერესით და გარკვეული შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს რესპუბლიკურ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ისლამური ფასეულობის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობას.

- მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე „ახალი თურქეთი“ დააფუძნა. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანწილად იქცა ამ პრინციპსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.
- არის თუ არა თანამედროვე თურქეთი მისი დამფუძნებელი მამის მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეური მემკვიდრე?
- უკვე დიდი ხანია თურქეთში პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის ხელისუფლების მიერ ქემალიზმის რიგი დებულებების ცვლილებაზე საუბრობენ, რომ იგი თავიდან ახდენს დემოკრატიული, სეკულარული საზოგადოების ისლამურ ტრადიციულ საზოგადოებად გარდაქმნას და უარს ამბობს სოციალურ მოდერნიზაციაზე. თავად რ. თ. ერდოღანს კი შემოაქვს ახალი კონცეფცია, ე.წ. „ახალი თურქეთი“, რომელიც ნაციონალიზმს, ისლამიზმს, ანტიელიტიზმისა და მორალიზმის პრინციპებს ეფუძნება:
-
- **ქემალიზმი:** რესპუბლიკანიზმი, ლაიციზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი.
- **ერდოღანის „ახალი თურქეთი“:** ისლამიზმი, თურქული ნაციონალიზმი, ანტიელიტიზმი, მორალიზმი.
-

დასკვნა

- თურქეთის მოვლენებმა, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, გვაჩვენა, რომ ქვეყანა ყალიბდება ძლიერ სახელმწიფოდ. ისმება კითხვა, რამდენად გააგრძელებს ის დემოკრატიული ფასეულობებით სიარულს და რამდენად შეინარჩუნებს ათათურქისეულ ევროპული ღირებულების სახელმწიფო მმართველობას

- თურქეთი ევროპისათვის სტრატეგიულად საჭირო და მნიშვნელოვანი ქვეყანაა - ცენტრალური აზიიდან მომავალი უზარმაზარი ბუნებრივი რესუ-რსები სწორედ თურქეთის გავლით შეედინება ევროპაში. ევროპას სჭირდება თურქეთი, სჭირდება მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და ნედლეულის ტრანსპორტირების საიმედო და უსაფრთხო გზა.

- XXI საუკუნის უახლოესი ათწლეულები პასუხს გასცემს კითხვას, შეიძლება თუ არა მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის ადაპტაცია დემოკრატიულ, დასავლურ ცივილიზაციასთან და როგორი იქნება მისი შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

- გიულენი ფ., ,,იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდა ჩემ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. მზად ვარ თურქეთში დავბრუნდე“. გაზეთი, „რეზონანსი“, 22 აგვისტო,2016;

- მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში, სალექციო ჩანაწერები, თბილისი, 2019;

- მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში, თბილისი, 2016;
- მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემები, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, N.5, თბილისი, 2016;

- მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009;

- ურიდია ს., მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი, 2004.
-

გმადლობთ
ყურადღებისათვის!